შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №83

2010 წლის 23 ივლისი
ქ. ბათუმი

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე–5 მუხლის მე–8, მე–9, მე–10 პუნქტებისა და რსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესი“ დანართი 1–ის შესაბამისად;
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს რსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურასა და ნორმებს, ასევე სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად რსუ-ს მიერ დაწესებული გამოცდების (მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების) ჩატარების წესს.

1.2. რსუ-ს მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

1.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირი მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლით დადგენილი აღიარების დოკუმენტის საფუძველზე.

1.4. რსუ-ს მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა რსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად, სრულყოფილად წარმოადგინა ამ წესით დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარა უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა/გამოცდები და დადგენილი ვადებში გააფორმა ხელშეკრულება რსუ-სთან.

2. მაგისტრანტობის კანდიდატად რეგისტრაცია

2.1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები და ადგილი, ასევე რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირები (მიმღები კომისია/კომისიები) განისაზღვრება ყოველწლიურად, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით".

2.2. მაგისტრანტობისკანდიდატმარეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს;

ა. განცხადება (სპეციალური ფორმა, დანართი 1-ის შესაბამისად);

ბ. პირადობის მოწმობის ასლი;

გ. საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი;

დ. ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ე. ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 და ელექტრონული ვერსია კომპაქტ დისკზე **(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №119 დადგენილებით)**;

ვ. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

ზ. მაგისტრანტობის კანდიდატის ანკეტა (დანართი 2).

2.3. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან. მაგისტრანტობის კანდიდატად რეგისტრირდება მხოლოდ ის პირები,

რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდები და წარმოადგინეს დოკუმენტაცია 2.2 პუნქტის შესაბამისად.
2.4. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი მაგისტრანტობის კანდიდატთა აღრიცხვას აწარმოებს სპეციალურ ჟურნალში, სადაც ფიქსირდება მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი და გვარი, სასურველი სამაგისტრო პროგრამა და ფაკულტეტი, წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალი, მაგისტრანტობის კანდიდატისა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები, რეგისტრაციის თარიღი.
2.5. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, შემოსული განცხადებების მიხედვით, ფაკულტეტი უზრუნველყოფს საგამოცდო უწყისების მომზადებასა და სათანადო სიების ელექტრონული და ბეჭდური ვერსიის საგამოცდო ცენტრისთვის მიწოდებას.

3. რსუ-ს მიერ დადგენილი მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები
3.1. რსუ-ს აკადემიური საბჭო ყოველწლიურად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, განსაზღვრავს მომავალი სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალს და მისაღებ კონტინგენტს, სწავლის ღირებულებას, სამაგისტრო გამოცდებისათვის მინიჭებულ კოეფიციენტებს, ასევე თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის მისაღებ გამოცდებს და სხვა აუცილებელ ნორმებს.
3.2. შესაბამისი ფაკულტეტი ვალდებულია ცალკეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რსუ-ს ვებგვერდზე გამოაქვეყნოს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდ(ებ)ის თემატიკა. თუ რომელიმე სამაგისტრო პროგრამა დამატებით ითვალისწინებს მისაღებ გამოცდას უცხო ენაში, უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე უცხო ენაში გამოცდის აუცილებელი მინიმუმი.
3.3. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა/გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით, (ტესტური ან კომბინირებული მეთოდით) . გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 % . მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის დავალებათა კრებულში შეტანილი თითოეული ტესტის მაქსიმალური შეფასება არ შეიძლება იყოს 2 ქულაზე მეტი, ხოლო ცალკეული საკითხის მაქსიმალური შეფასება არ შეიძლება იყოს 5-ზე მეტი.
3.4 რსუ-ს მიერ დაწესებული მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს რსუ–ს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრი.
3.5. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების განრიგი მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და ქვეყნდება რსუ-ს ვებგვერდზე. მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდაზე დაიშვება პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ, დაგვიანებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება.
3.6. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგები ცალკეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ფიქსირდება საგამოცდო უწყისში (დანართი 3) და ქვეყნდება რსუ-ს ვებგვერდზე, საგამოცდო უწყისის შევსებაზე პასუხისმგებელია საგამოცდო კომისია.
3.7 ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მისაღები გამოცდის დავალებათა კრებულის მომზადების და მაგისტრანტობის კანდიდატთა საგამოცდო ნამუშევრების გასწორების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რსუ-ს რექტორის ბრძანებით, იქმნება საგამოცდო კომისიები (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით).

4. რსუ-ს საპრეტენზიო საბჭო

4.1. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების პროცედურასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით რსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამაგისტრო გამოცდების საპრეტენზიო საბჭო, არანაკლებ 9 წევრის შემადგენლობით. საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს რომელიმე საგამოცდო კომისიის წევრი

4.2. საპრეტენზიო საბჭო განიხილავს მაგისტრატურაში მიღების პროცედურასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ დარღვევებსა და მისაღები გამოცდის შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს.

4.3. საპრეტენზიო საბჭოს მუშაობასა და საბჭოს სხდომებს უძღვება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარე (ან მოადგილე). საპრეტენზიო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრეთა უმრავლესობით.

4.4. საპრეტენზიო საბჭოს მუშაობის შედეგები და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელიც დასტურდება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

4.5. საპრეტენზიო სამჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საპრეტენზიო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

4.6. კარნახის, დამხმარე საშუალების გამოყენების, სხვისთვის დახმარების გაწევის ან სხვისგან დახმარების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან და მისი ნაშრომი არ შეფასდება. გამოცდიდან მოხსნის ფაქტი გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრის მიერ ფიქსირდება ოქმში.

5. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგების გასაჩივრება

5.1. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგების გასაჩივრების მიზნით მიმართოს რსუ-ს რექტორს საპრეტენზიო განაცხადით, სპეციალობის სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში,

5.2. მაგისტრანტობის კანდიდატის საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს საგამოცდო დავალებათა კრებულში იმ დავალების ნომერი, რომლის თაობაზეც წარდგენილია პრეტენზია ან უნდა დაფიქსირდეს პრეტენზიის კონკრეტული მიზეზი.

5.3. საპრეტენზიო საბჭოგანიხილავს მხოლოდ იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო განაცხადში დავალების ნომრის (ან პრეტენზიის კონკრეტული მიზეზის) დაუფიქსირებლობის შემთხვევაში, პრეტენზია არ განიხილება. საპრეტენზიო საბჭოს უფლება აქვს შეფასების ობიექტურობის/არაობიექტურობის დადგენის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი.

5.4. მაგისტრანტობის კანდიდატისათვის თავდაპირველი შედეგის შესწორების ან ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საპრეტენზიო საბჭო.

5.5. საპრეტენზიო განაცხადების განხილვა და განხილვის შედეგების გაცნობა მაგისტრანტობის კანდიდატისათვის ხდება რექტორის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში,

5.6. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგების გადახედვის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში მაგისტრანტობის კანდიდატის გვარის გასწვრივ კეთდება ჩანაწერი ”შესწორებულია n ქულა”, უწყისის ბოლოს კი ფიქსირდება

საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარის ხელწერა, ამასთან საგამოცდო უწყისს უნდა დაერთოს საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება (ამონაწერი შესაბამისი ოქმიდან) სამაგისტრო გამოცდის შედეგების გადახედვის შესახებ.

5.7. საპრეტენზიო განაცხადების განხილვის ვადის ამოწურვისთანავე მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგები ქვეყნდება რსუ-ს ვებგვერდზე.

6. მაგისტრანტობის კანდიდატთა რსუ-ში ჩარიცხვა

6.1. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის დგება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დგინდება იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, რომლებმაც მოიპოვეს კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება.

6.2. მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები, მაგრამ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების შედეგად ვერ მოიპოვა საკმარისი საკონკურსო ქულა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს იმავე ფაკულტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამის კონკურსში.

6.3. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატთან ხელშეკრულების გაფორმებას და დადგენილ ვადებში რექტორს წარუდგენენ ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატთა სიას.

6.4. მაგისტრანტობის კანდიდატთა რსუ-ში ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა რექტორის ერთიანი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიეწოდება გამოცდების ეროვნულ ცენტრს და განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს.

დანართი 1.
(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №119 დადგენილებით);

ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტის
რექტორს, _____
_____
(სახელი, გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილიმაქვსსწავლაგავაგრძელობბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტის_____ ფაკულტეტის მაგისტრატურაში, სამაგისტროპროგრამაზე:

_____
სამაგისტრო პროგრამის დასახელება

გთხოვთ, განიხილოთჩემისაბუთებიდადამიშვათმისაღებ გამოცდა/გამოცდებზე.

_____ „_____“ „_____“ 20 წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

დანართი 2.

(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №119 დადგენილებით);

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრანტობის კანდიდატის ანკეტა

●_____

სახელი გვარი მამის სახელი

●სქესი□ მამრობითი □ მდედრობითი

●დაბადების თარიღი _____/_____/_____

რიცხვი თვე წელი

●მოქალაქეობა _____ ●ეროვნება _____

●ოჯახური მდგომარეობა_____

● სამუშაო ადგილი _____

●პირადობის მოწმობის ნომერი_____● პირადი ნომერი_____

●ფაქტობრივი მისამართი ●რეგისტრაციის მისამართი

ქვეყანა, ქალაქი/სოფელი/დაბა , საფოსტო ინდექსი	ქვეყანა, ქალაქი/სოფელი/დაბა , საფოსტო ინდექსი
ქუჩა, სახლის ნომერი	ქუჩა, სახლის ნომერი
ტელ:	ტელ:

●ტელეფონის ნომერი (მობ.)_____ (სამს.) _____

სასურველი სამაგისტრო პროგრამა _____
ფაკულტეტი:
_____

●უმაღლესი განათლება *(გთხოვთ, დაურთოთ მითითებული მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები)*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, მისამართი	ფაკულტეტი, სპეციალობა	ხარისხი	სწავლის წლები

●რომელუცხო ენას ფლობთ?

_____

_____

▪ ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი უსდ-ს, ფაკულტეტისა და სპეციალობის დასახელება)

_____

_____

ვადასტურებმითითებულიინფორმაციისადაწარმოდგენილიდოკუმენტაციისსის წორეს. ჩემთვისცნობილიამაგისტრატურაშიმიღებისა და სწავლის პირობები.

_____
(განმცხადებლის ხელმოწერა)

_____
(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

დანართი 3.

(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №119 დადგენილებით);

ბათუმისშოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შეფასების უწყისი №

ფაკულტეტი _____

სამაგისტრო პროგრამა _____

საგამოცდო საგანი _____

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე: _____

(გვარი, სახელი, ,აკადემიური თანამდებობა)

საგამოცდო კომისიის წევრები: 1. _____

(გვარი, სახელი, ,აკადემიური თანამდებობა)

2. _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

3. _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

4. _____

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

№	მაგისტრანტობის კანდიდატის გვარი, სახელი	მაგისტრანტობის კანდიდატის პირადი ნომერი	შეფასება	
			ქულა	სიტყვიერად
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

საგამოცდო კომისიის წევრები:

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

ფაკულტეტის დეკანი _____ (ბ. ა.)

გამოცდის ჩატარების თარიღი